საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/173 "22" ოქტომბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნებაზე
სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 8 ოქტომბრის №06-9188 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და წარუდგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი, რომელიც შეეხება საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული, ქ. წალენჯიხაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 2023 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის №1, №2 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №47.11.43.403) დაყოფის რეგისტრაციას და დაყოფის შედეგად მიღებული 533 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი